„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი



# ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აგვისტო. 2018 * (6)43

# ასპინძელებს წინ უკეთესი მომავალი ელით!



ინტერვიუ

## როსტომ მაგრაქველიძე

**— ბატონო როსტომ, თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამომრჩევლებმა დიდი ნდობა გამოგიცხადეს და მუნიციპალიტეტის მერად აგირჩიეს. ამ ხნის განმავლობაში რისი გაკეთება მოასწარით?**

— ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების არჩევნების შემდეგ, თავდაპირველად, ძირეულად გავეცანი მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, სტრუქტურული ერთეულების მუშაობის პრინციპებს, იმ გაწეულ მუშაობას, რაც წინა წლებში განხორციელდა. განვიხილეთ ყველა ის პროექტი, რომელიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო და მეტი სერიოზულობით მოვეკიდეთ თითოეულ მათგანს, — წარმატებით გავაგრძელეთ და დავასრულეთ კიდეც. ასევე, პარალელურად, ბევრ ახალ და პრიორიტეტულ პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი, როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტის სფეროებში. რაც შეეხება კითხვას, — თუ რისი გაკეთება მოვასწარით, მინდა გითხრათ, რომ მუშაობის ტემპი არა თუ შევანელეთ, არამედ უფრო ეფექტური გავხადეთ და მოსახლეობის მოთხოვნებისა და წინასაარჩევნო დაპირების განხორციელებას აქტიურად შევუდექით და, ვთვლი, რომ საქმე არცთუ ისე ურიგოდ მიდის. უცხო თვალსაც არ გამოეპარება ის წინ გადადგმული ნაბიჯები, რასაც, დროის ამ მცირე მონაკვეთში, მივაღწიეთ. ძალზე ძნელია ილაპარაკო საკუთარ წარმატებებზე, თუმცა, არის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები და აუცილებლობა, რომ გინდა თუ არა, უნდა თქვა ის, რაც აქამდე გავაკეთეთ, რადგან მოსახლეობას ჭირდება იმ ინფორმაციის მიწოდება, რაც მათ მიერ არჩეულმა მერმა თუ დეპუტატთა ჯგუფმა ამ პერიოდში გააკეთეს.

დავიწყებთ იქიდან, რომ მთავარი აქცენტი მაინც დაბაზე გადავიტანეთ, რადგან დაბა სახეა მუნიციპალიტეტის, — მოსახლეობის უმრავლესობა აქ ცხოვრობს და უცხო თვალიც უფრო მეტად აქ ტრიალებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფელი არ გვახსოვს, პირიქით, ცალკეულად აღებული ყველა სოფელი მიიღებს იმ სიკეთეს, რაც დავპირდით და რისი იმედიც მათ ჩვენგან აქვთ.

როგორც იცით ძირითადი სამუშაოები, კლიმატური პირობების გამო, გვინდა არ გვინდა, მაინც, აპრილიდან იწყება და მარტო გასულ ოთხ თვეში შევძელით, მოგვეწესრიგებინა დაბაში ვაჟა-ფშაველას ქუჩის სამი, ყაზბეგის, დედაენის, ერეკლე II-ის ქუჩების ორ-ორი განშტოება, რომელთა რეაბილიტაციაზე მთლიანობაში გაიხარჯა 522.225 ლარი. ჭავჭავაძის I და II ჩიხების, ტაბიძის, მარჯანიშვილის, გოგებაშვილისა და გორგასლის ქუჩების რეაბილიტაციაზე კი შესრულებულია 439.900 ლარის სამუშაო.

როგორც ითქვა, დაბაში მიმდინარე სამუშაოების პარალელურად, ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლად ინფრასტუქტურული პროექტების განხორციელება. ალბათ, ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თოკ-ვარგავის მიმართულებით განხორციელდებოდა დიდი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი, ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერითა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს წარმატებული მუშაობის შედეგად ხორცი შეისხა ამ პროექტმა და 842.050 ლარის სამუშაო იქნა შესრულებული. წარმოვიდგინოთ, სოფელ თოკში, სადაც ცენტრალური მაგისტრალური ხაზიდან არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარ საათზე მეტი დრო ჭირდებოდა ასვლას, ახლა, თითქმის, ათ წუთზე ნაკლებ დროში, შეიძლება ნებისმიერი ტრანსპორტით მისვლა.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მთლიანად დამთავრდა ბეტონის გზის დაგება სოფელ ოთამდე და, იქაც, უამინდობის დროს რომ შეუძლებელი იყო მისვლა, ახლა, რამდენიმე წუთში, შეიძლება ამ გზის გავლა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე სოფელი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, მათ მიმართ, ყოველთვის, დიდი ინტერესია, განსაკუთრებით, სამონასტრო კომპლექსის — შორეთის მიმართ და ამ პროექტის განხორციელებით, შესაძლებელია გაიზარდოს ამ ძეგლის დამთვალიერებელთა რაოდენობამაც. თუმცა, ძეგლის მიმართულებით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს განსახორციელებელი; შევახსენებთ ჩვენს ერთგულ მკითხველებს, — სოფელ ოთაში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე (II ეტაპი) შესრულებულია 755.953 ლარის სამუშაო..

დაბის ცენტრში, „ასპინძის ომის” მემორიალურ კომპლექსთან, უახლოეს პერიოდში, განხორციელდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი — დეკორატიული კედლების მშენებლობა და მთლიანად შეიცვლება მისი ინფრასტრუქტურა, რითაც, დამატებით, ერთი ლამაზი კულტურული ცენტრი შეემატება დაბას და მთლიანად შეცვლის ცენტრის იერსახეს. მის პარალელურად დამატებით განხორციელდება ვარძიის ქუჩაზე არსებული დეკორატიული კედლების რეაბილიტაცია, — მოეწყობა განათება, რაზეც შესრულებული იქნება 220.000 ლარის სამუშაოები.

**— თქვენი აზრით, შეიძლებოდა თუ არა, უფრო მეტი საქმის გაკეთება და ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი რა იყო?**

— რა თქმა უნდა. აქ მხოლოდ ერთ ფაქტზე შევჩერდები: მიმდინარე წელს, ხანგრძლივი წვიმების შედეგად, დაზიანდა მაღალმთიან სათიბ-საძოვრებზე მისასვლელი საავტომობილო გზები. ეს ის გზებია, რომლითაც ყოველდღირად სარგებლობს როგორც დაბის, ასევე სოფლების მოსახლეობა. სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, საჭირო გახდა დამატებითი ხარჯების მოძიება, რამაც მნიშვნელოვნად შეგვაფერხა, თუმცა, ოპერატიული ღონისძიებების გატარების შედეგად, შევძელით მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორება და, ამჟამად, რიგი სოფლების საკუთრებაში არსებულ სათიბ-საძოვრებზე, კერძოდ, ე. წ. ერკოტის, უზუნჩაირის, ბუზმარეთის, ჭანჭახების, შალოშეთის და სხვათა მიმართულებით მისასვლელი გზების ძირითადი ნაწილი შეკეთებულია, ნაწილის შეკეთება კი ამჟამადაც მიმდინარეობს და დაცულია უსაფრთხო გადაადგილება.

**— მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ, არის თუ არა თქვენს მუშაობაში რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორები?**



— უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ქართული ოცნება“ უმრავლესობითაა წარმოდგენილი და ორივე სტრუქტურის მიზანია, — უფრო მეტი გავაკეთოთ საერთო საქმისათვის. რა მტკიცება ჭირდება იმას, რომ ჩვენი წარმატება, უპირველესად, საკრებულოს წარმატებაცაა და ამიტომ ურთიერთ ხელშეწყობით პრობლემები არ გვაქვს, არ გვიჭირს გადაწყვეტილებების მიღება. საბოლოოდ ხომ ჩვენზეა დამოკიდებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. მწვავე საკითხების გადაწყვეტაშიც კი, ოპოზიციასთანაც დიალოგის საფუძველზე ვაღწევთ საჭირო კომპრომისებს და, ამით, მხოლოდ საქმე იგებს. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოსთან ერთად სახავს იმ გეგმებს, რომელიც უფრო პრიორიტეტულია და უფრო მეტ სარგებელს მოუტანს ჩვენს თანამოქალაქეებს. საკრებულოს დეპუტაცია ინტენსიურადაა ჩართული მერიის ყველა შეთავაზებაზე, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის სწორ და ეფექტურ განვითარებას.

**— რისი თქმა შეგიძლიათ იმ პრობლემებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის მუნიციპალიტეტში. დაბაში ყოველთვის მწვავედ იდგა სარწყავი წყლის მიწოდების საკითხი, რომელიც, ფაქტია, ბევრად უფრო მოგვარებულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, თუმცა ასე ვერ ვიტყვით მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის საქმეში. რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს იგი?**

— სარწყავი და სასმელი წყლის პრობლემა ყოველთვის იყო ყველაზე დიდი თავსატეხი. ამიტომ მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიმართ მათ მოგვარებას მოითხოვდა. და აი, პრობლემით დაინტერესებამ პირველი შედეგი გამოიღო — დროის მცირე მონაკვეთში, მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინტესიური რწყვის სეზონის დაწყებამდე, მაქსიმალურად შეკეთდა, გასუფთავდა და შეიცვალა როგორც დაბაში არსებული საირიგაციო, ასევე სოფელ ივერიის წყალსაქაჩის სისტემა, — მერიამ შეიძინა და დაამონტაჟა ახალი სატუმბი ძრავი, რომლის საშუალებითაც, ბოლო ორი ათეული წლის შემდეგ, პირველად მოახდინა სოფელ ივერიაში მდ. მტკვრიდან სარწყავი წყლის აყვანა, ასევე, დაბისა და სოფელ რუსთავის წყალსაქაჩის სადგურებში დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისი სხვადასხვა ელექტრო მოწყობილობა, რომელმაც ხელი შეუწყო სისტემის გამართულ და ეფექტურ მუშაობას. ასევე, თითქმის ყველა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სარწყავ არხზე, გამოვყავით საჭირო რაოდენობის ე.წ. მერუეები და, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ, შეუფერხებლად შეუძლია მოსახლეობას სარწყავი წყლის მიღება.

**— ხარისხიანი სასმელი წყლის თაობაზე და, ე.წ., ჩუნჩხიდან სასმელი წყლის გამოყვანასთან დაკავშირებით, რისი თქმა შეგიძლიათ?**

— რაც შეეხება სასმელ წყალს, მინდა გითხრათ, რომ მოხდა რეზერვუარებზე გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, შეკეთდა ცენტრალური მაგისტრალური

დასასრული მე–2 გვ.

## ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

ამ დღეებში ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ამინისტრაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბერის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
3. „ასპინძის მუნიციპალიტეტი სმერიის ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბერის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
4. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის დებულებისდამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბერის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
5. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბერის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
6. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბერის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
7„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბერის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
8. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბერის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
9. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილში იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმების შესახებ.

საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დეპუტატებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს.

მაკა ბერიძე

# ასპინძელებს წინ უკეთესი მომავალი ელით!

პირველი გვერდიდან

ხაზი, შედეგად მივიღეთ ის, რომ წყლის დებეტი გაიზარდა და წვიმის შემდეგ აღარ იმღვრევა, მაგრამ სალექარი და საფილტრი ნაგებობები მოსაწესრიგებელია, რათა მოსახლეობას მიეწოდოს სუფთა და ხარისხიანი სასმელი წყალი, რაც, ძირითადად, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის პრეროგატივაა, თუმცა ეს არ გვიხსნის პასუხისმგებლობისაგან, რადგან იგი ჩვენი საზრუნავიცაა და, ამიტომ, მეტი პრინციპულობა გვმართებს, მათ მიმართ უფრო მომთხოვნი რომ ვიყოთ. ჩვენ ამის თაობაზე არაერთი შეხვედრა გვქონდა რეგიონულ ხელმძღვანელობასთან და მოსახლეობას ვარწმუნებთ, ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ, ამ მეტად აქტუალური პრობლემის მოსაგვარებლად. რაც შეეხება ე.წ. ჩუნჩხის წყალსადენის მშენებლობას, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მილსადენის მიწის საფარქვეშ მოთავსება. დასამალი არაა, რომ სასმელი წყლის აღნიშნული წყალსადენის მშენებლობა დასაწყისშივე განწირული იყო და, სწორედ, საქმისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია ყოველივე ეს. მიუხედავად ამისა, ბოლომდე მივყვებით ამ საქმეს და ყველა ღონეს ვიხმართ, რათა მოსახლეობა მომარეგებული იყოს ხარისხიანი სასმელი წყლით.

**— დაბაში მაცხოვრებლები კმაყოფილი არიან ინფრასტრუქტურული პროექტებით, სოფლებშიც კეთდება მისასვლელი გზები, მაგრამ აწყვიტისა და ოშორის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს სამი წლის წინ დაწყებული გზის მონაკვეთების დაუმთავრებლობის გამო. როდისთვის ფიქრობთ მის მოასფალტებას?**

— დაუმთავრებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც მოგახსენებთ, – 2019 წელს დაგეგმილია დაბაში დარჩენილი ქუჩების და ჩიხების მოასფალტება, ასევე სოფელ ოშორაში, აწყვიტასა და ტოლოშში დაუმთავრებელი გზების მშენებლობის დასრულება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მთის განვითარების ფონდის მხარდაჭერით და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გამოვაცხადეთ ტენდერი და უკვე მიმდინარეობს ჭობარეთი-მაჭიხეთის გზის მშენებლობა (მოასფალტება, სიგრძით 4000 მ., საერთო ღირებულებით 830.000 ლარი), რომელიც დააკავშირებს სოფ. მუსხის გავლით ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებს, რაც, მართლაც, მნიშვნელოვანი პროექტია.

**— ზემოთ ბრძანეთ, რომ მთლიანად მოწესრიგდება „ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის“ მიმდებარე ტერიტორია. როდისთვის ფიქრობთ ამ პროექტის განხორციელებას?**

— რაც შეეხება „ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის“ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწესრიგებას, ამჟამად მიმდინარეობს ტენდერით გათვალისწინებული შერჩევა -შეფასების პროცესი (პირველი ეტაპი).

**— ძალზე მნიშვნელოვანია, რომ „ფარავან-ჰესი“ რამდენიმე წელია ფუნქციონირებს. რა სიკეთე მოუტანა მან მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?**

— ასპინძის მუნიციპალიტეტში 2016 წლიდან ამოქმედდა და ექპლუატაციაში შევიდა „ფარავან-ჰესი“, საიდანაც შემოსავალია ადგილობრივ ბიუჯეტის სასარგებლოდ, ქონების გადასახადის სახით, 2.700.000 ლარია. რაც მთლიანად მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას ხმარდება.

**— როდისთვისაა გათვალისწინებული „მტკვარ-ჰესის“ ექსპლოატაციაში შესვლა და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას ადგილობრივი მოსახლეობისათვის. როგორც ვიცით, ამჟამად რუსთავისა და ხერთვისის მოსახლეობა ვერ სარგებლობს მაღალმთიანობის პროგრამით. „ფარავან-ჰესის“ ამუშავებით მიიღო თუ არა რაიმე შეღავათი ამ სოფლის მოსახლეობამ და „მტკვარ-ჰესის“ ექსპლოატაციაში შესვლით რა სარგებელს მიიღებენ როგორც რუსთაველები, ასევე მუნიციპალიტეტის მოსახლეობა?**

— როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს „მტკვარ-ჰესის“ მშენებლობა, რომლის ექსპლოატაციაში შესვლა გათვალისწინებულია 2019 წლისთვის. რაც ასევე მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, აბა, წარმოიდგინეთ, როგორ წაადგება იგი ჩვენს მოსახლეობას და რა დიდ სარგებელს მისცემს მათ. ისევ ხაზგასმით მინდა გავიმეორო, რომ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში უსაზღვროდ დიდია „ფარავან-ჰესიდან“ მიღებული ფინანსური წილი, რაც ბოლო ორი წელია აისახა კიდეც ადგილობრივ ბიუჯეტზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. გარდა ამისა, ორივე ობიექტზე დასაქმებულია ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, აქვთ შესაბამისი ანაზღაურება, რაც დადებითად აისახება მათ ოჯახებზე. აქვე დავამატებთ, – 2018 წლიდან მერიის სოციალური დახმარების პაკეტში შევიდა ცვლილებები, რომელთაგან მნიშვნელოვანი ისაა, რომ სოფელ ხერთვისსა და რუსთავში ახალდაბადებულებისათვის დახმარება გაორმაგდა.

**— რუსთაველები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ აღნიშნული „მტკვარ-ჰესის“ მშენებლობამ სოფელს სასმელი წყლის პრობლემა შეუქმნა. რა ღონისძიებები ტარდება ამ პრობლემის მოგვარებისათვის?**

— რაც შეეხება, სოფელ რუსთავში სასმელი წყლის დებეტის შემცირებას, ჩვენი მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად ვერ გადავწყვეტთ ამ პრობლემას, ამიტომ დახმარებისათვის მივმართეთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრაქტრუქტურის სამინისტროს, სადაც შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის” მიერ წარდგენილი იქნა სოფელ რუსთავის დამატებითი წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის წინა საპროექტო კვლევები (სავარაუდოდ ხუთი ვარიანტი), საიდანაც შეირჩევა საუკეთესო, რის შემდეგაც მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება სოფელ რუსთავის მოსახლეობისთვის დამატებით სასმელი წყლის მომარაგებასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერია მაქსიმალურად დაუდგა გვერდში რუსთავის მოსახლეობას და მათ შეძლებისდაგვარად ვეხმარებით.





**— დიდი ხანია, რაც შესაბამისი სტრუქტურები მუშაობენ სოფელ საროს ინფრასტუქტურის განვითარებაზე — ძველი მესხური დარბაზების აღდგენაზე. რა ეტაპზეა ეს სამუშაოები?**

— მუნიციპალური განვითარების ფონდმა დაასრულა მუშაობა „სოფელ საროს დარბაზული შენობების რეკონსტრუქციის, რესტავრაციის და ადაპტაციის პროექტზე", რომელიც ითვალისწინებს არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას.

**— ბატონო როსტომ, ბოლო წლებია ძალზე გააქტიურდა მუნიციპალიტეტში სპორტისადმი ინტერესი და შედეგებიც სახეზეა. ანალოგიურად, მაქსიმალურად გარდაიქმნა კულტურული ცხოვრებაც და მოსახლეობა არა ერთი საინტერესო ფაქტის მოწმე გახდა. დამატებით რის გაკეთებას ფიქრობთ ამ მიმართებით?**

— სრულიად გეთანხმებით. აღნიშნული მიმართებით მართლაც დიდი ძვრები გვაქვს. რაც ამ პერიოდში განხორციელდა, თავისით არ მოსულა, დაუღალავი შრომის შედეგია და აკი მოსახლეობა თავად ხედავს ამ წარმატებებს, კულტურისა და სპორტის სფეროებში დასაქმებულები აქტიურად იყვნენ ჩართულები არა მარტო ადგილობრივ, არამედ რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებშიც და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს, მთელი წლის განმავლობაში არა ერთი საპრიზო ადგილი დაიკავეს და ფესტივალებში ლაურიატის წოდებებიც მოიპოვეს.

**— ცნობილია, რომ რეგიონის აღორძინების მიზნით, რეგიონის სხვა მერიებთან ერთად, ასპინძაზეც გამოიყო გარკვეული ფინანსები, რომელიც უნდა მოხმარებოდა ე.წ. მტკვრის ხეობის ინფრასტრუქტურის განვითარებას. რა სამუშაოები შესრულდა ამ პროგრამით?**

— ამ მიმართებით მართლაც დიდი მუშაობა განხორციელდა, რამაც სრულიად შეცვალა მტკვრის ხეობის იერ-სახე – მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა სოფელ მირაშხანში მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია, შეკეთდა ექვს კილომეტრიანი მონაკვეთი, ხერთვისის ციხის მიმდებარე ტერიტორიას და ციხის გარკვეულ ნაწილს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, მალე დასრულდება ვარძიისა და ვანის ქვაბების სამონასტრო კომპლექსში ვიზიტორთა თანამედროვე ტიპის ცენტრი, დამხმარე ინფრასტრუქტურა და საპარკინგე მოედნები, რაზეც, მთლიანობაში, ხუთ მილიონ ლარამდე დაიხარჯება. ალბათ ესოდენ დიდი და მრავლისმთქმელი პროექტი მუნიციპალიტეტში აქამდე ჯერ არ განხორციელებულა და მომავალშიც მსგავსი მიმართებით არაერთ სიურპრიზს უნდა ველოდოთ.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერია, საკონსულტაციო საბჭოსთან შეთანხმებით და მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართულობით, მომავალ წლებშიც შემოგთავაზებთ ბევრ, პრიორიტეტულ და საჭირო პროექტებს სხვადასხვა სფეროში, რომელიც, მჯერა, შედეგიანი იქნება და დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს თანამემამულეებს.

**— დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, ბატონო როსტომ, ასეთი საინტერესო საუბრისათვის და იმედია ახლო მომავალში კიდევ იქნებით ჩვენი გაზეთის სტუმარი.**

— გმადლობთ!

*ინტერვიუს უძღვებოდა*

ავთანდილ ბერიძე

## მოიხსნება რწყვის პრობლემა

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში გასულ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საირიგაციო სამუშაოების თვალსაზრისით, პრობლემა მაინც პრობლემად რჩებოდა, რადგან იგი ძალზე მცირე არეალს მოიცავდა და, მნიშვნელოვანწილად ხელს უშლიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საქმეს. ამ ხარვეზების



დაძლევის მიზნით წლეულს მუშაობა უფრო გააქტიურდა, რითაც გლეხმაც ამოისუნთქა და პრობლემაც თანდითანობით იხსნება. დაიწყო თუ არა აქტიური რწყვის სეზონი, სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც ამ მიმართებით უწევს მუშაობა, მომზადებული დახვდა — მუნიციპალიტეტის სოფელ ძველში, ჭობარეთში, ხიზაბავრაში, ტოლოშში სარწყავი არხების გაწმენდითი სამუშაოები დროულად ჩატარდა და დარჩენილ რწყვის სეზონში ამ სოფლებს, პრობლემა ძირითადად მოხსნილი აქვთ. აღნიშნული სამუშაოები მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სამუშაოების ჩატარებაში ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები შესაბამისი სოფლების დეპუტატები და მერის წარმომადგენლები. მოწესრიგდა როგორც მთის სარწყავი სისტემა, ასევე სოფლებისაც.

ადგილობრივი მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს აღნიშნული სამუშაოების ჩატარებაზე, რადგან სარწყავი სისტემის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

## საქართველოს „მწვანეთა მოძრაობა” ასპინძაში



ამ დღეებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის შენობაში საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს „არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებით მათი ჩართულობის უზრუნველყოფა - გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე“ – ფარგლებში საინფორმაციო შინაარსის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და შპს „ასპინძის კეთილმოწყობის'' სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების, ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებას, საზოგადო-



ების ცნობიერების ამაღლებას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურასთან დაკავშირებით.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და მას ახორციელებენ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები –საქართველო“; სითი ინსტიტუტი – საქართველო; სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი – „თაობათა დიალოგი“ და საზოგადოებრივი დამცველი.

## ვიდრე დიდი სამუშაოები დაიწყებოდეს

მუნიციპალიტეტის მასშტაბით რომ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება არის გათვალისწინებული, ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან. ცხადია, ყველა იმ საკითხის მოგვარება, რაც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს, ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერია ეტაპობრივად, გათვლილ ოთხ წელიწადში, თანმიმდევრობით უზრუნველყოფს იმ ვალდებულებათა ხორცშესხმას, რაც ამომრჩეველთა წინაშე არჩევნებამდე დააანონსა თავისი ერთგული მხარდამჭერების წინაშე. თუმცა არის ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც გადაუდებლად საჭიროა და ვიდრე დიდი პროექტები განხორციელდებოდეს, გარკვეული კოსმეტიკური სამუშაოების აუცილებლობა დღის



წესრიგიდან არ იხსნება. ერთ-ერთი ასეთი სამუშაო ახლახან სოფელ ოშორაში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით განხორციელდა, კერძოდ – შიდა გზების დაზიანებული ადგილების შეკეთება-მოხრეშვა. ასევე მოწესრიგდა კოდიანის მთაში მისასვლელი რამდენიმე კილომეტრიანი გზა, რითაც ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც მთასთან კავშირი აქვს, უსაფრთხოდ შეეძლება გადაადგილება.

აღნიშნული პროექტის განხორციელების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულები ამავე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი და მერის წარმომადგენელი.

სამუშაოები შესრულდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ტექნიკის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვნად



დაზოგა ფინანსური ხარჯები.

ასევე, მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის მოთხოვნით სოფელ ძველში, ჭობარეთში, დამალაში, იდუმალასა და აწყვიტაშიც განხორციელდა ანალოგიური სამუშაოები.

# ეს ჩვენი ევროპული არჩევანია?!

წერილი მეორე

ბავარიული ლუდის მოყვარულებმა, კარგი იქნება, როცა „საქმიანი“ ვიზიტების დროს ბავარიას, მის დედაქალაქს ესტუმრებიან, ცოტა ხნით რესტორნებში დროისტარება, ფეშენებლურ სასტუმროებში ნებივრობა, დროებით გვერდზე გადადონ და საკუთარი თვალით იხილონ მიუნხენიდან ოციოდე კილომეტრში მდებარე სოფელი დახაუ, რომელიც 1933 წლიდან გაცდა ჩვეულებრივი სოფლის სტატუსს და მეორე მსოფლიო ომის საშინელ ისტორიაში შევიდა როგორც ევროპაში ადამიანთა მასიური განადგურების ერთ-ერთი პირველი საკონცენტრაციო ბანაკი. არა მგონია, რომ ამ ბანაკის დათვალიერების შემდეგ ადამიანს გონებამ უღალატოს და ნათელი წარმოდგენა არ შეექმნეს ყოველივე იმაზე, რაც ფაშიზმის გამარჯვების შემთხვევაში, როგორი ბავარიული ლუდის ნაკადულები წამოვიდოდა საქართველოსკენ და, საერთოდ, რა ჯოჯოხეთში აღმოჩნდებოდა თავად ევროპა. ხანგრძლივი ისტორიული დროის მანძილზე ფაშისტების მიერ გერმანიის ამ ტერიტორიაზე დაარსებული ეს პირველი საკონცენტრაციო ბანაკი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ იგი, შემდგომში, ევროპის ტერიტორიაზე, სხვადასხვა დროს, დაარსებულ „კონცლაგერებს“ შორის საჩვენებელ და მისაბაძ ბანაკად გადაიქცა. აქ მოდიოდნენ შემდგომში დაარსებული საკონცენტრაციო ბანაკების კომენდანტები და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნები ტყვეების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესაბამისი პრაქტიკული ჩვევების მისაღებად,

ნიშანდობლივია ისიც, რომ მოწინააღმდეგეებზე დიდი ტერორის აგორების მიზნით 1933 წელს ფაშისტების მიერვე მოხდა რაიხსტაგის დაწვა მაშინ, როდესაც ნაციონალ-სოციალისტები არჩევნების შედეგად მოხვდნენ უმცირესობაში და არ შეეძლოთ დაჩქარებით და ეფექტურად განეხორციელებინათ თავიანთი მზაკვრული ჩანაფიქრი. გერმანიის პრეზიდენტის გინდერბურგის ბრძანებით (რომელსაც პრაქტიკულად არავითარი ძალაუფლება აღარ გააჩნდა რაიხსტაგში) გერმანიის მთელ ტერიტორიაზე ხუთი წლით შემოღებულ საგანგებო მდგომარეობამ, რომელიც, ფაქტობრივად, 1945 წლამდე მოქმედებდა, ფაშისტებს ხელფეხი გაუხსნა მზაკვრული ჩანაფიქრის აღსრულებისათვის და მაშინვე მოხდა რაიხსტაგში ერთ-ერთი ძლიერი ფრაქციის – გერმანიის კომუნისტური პარტიის დაშლა და, როგორც კომუნისტების, ასევე მოსახლეობის მასიური დაპატიმრებები. ძალადობრივი გზით ხელისუფლება ფაშისტების ხელში აღმოჩნდა და მაშინვე მიიღეს კანონი „ხალხისა და რეიხის“ დაცვის შესახებ. სწორედ აქედან აიღო სათავე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ავბედითმა ხანამ. აქედან გამომდინარე დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის პირველი თაობის პატიმრები ძირითადად ებრაელები და კომუნისტები აღმოჩნდნენ, ასევე პოლიტიკისაგან განზე მდგომი ჩვეულებრივი გერმანელი მოქალაქეებიც. არიული თეორიის თანახმად, არიული რასის დამაბინძურებელი ნაცისტური რეჟიმის მოწინააღმდეგეები, **სალმრთო** მოსამსახურეები, სულიერად დაავადებული, მეძავეები, ნარკომანები. დახაუ, ფაქტიურად, ადამიანთა დასჯის, განადგურებისა და ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების საცდელ პოლიგონად გადაიქცა. მართული ადამიანის ხელოვნურად გამოყვანის მიზნით ჯანმრთელ ადამიანებზე ათასგვარი ცდები ტარდებოდა, მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კი საკონცენტრაციო ბანაკის მთავარ შესასვლელში გაჩნდა ლითონში ჩამოსხმული წარწერა: „გადარჩება მხოლოდ ის, ვისაც მუშაობა შეუძლია“! ბანაკი ივსებოდა სამხედრო ტყვეებით განურჩევლად რასისა და ეროვნებისა, რომლებსაც სხვადასხვა სამხედრო საჭიროების ობიექტებზე ამუშავებდნენ, ხოლო დაუძლურებულ და შრომისათვის უკვე გამოუსადეგარ პატიმრებს, გაზკამერის გავლით, კრემატორიუმში წვავდნენ. 1945 წლის 28 აპრილს, როცა ამერიკული 45-ე დივიზიის მესამე ბატალიონი საკონცენტრაციო ბანაკში შევიდა, იქ ნანახმა და განცდილმა იმდენად აღაშფოთა და წონასწორობიდან გამოიყვანა ამერიკელი ჯარისკაცები, რომ მათ ტყვედჩაბარებულ უიარაღო ჯარისკაცებს ავტომატებიდან ცეცხლი გაუხსნეს და 122 ჯარისკაცი ადგილზევე დახვრიტეს. ამერიკელების მიერ ამ ბანაკის აღების პარალელურად არსებული საიდუმლო ორგანიზაციის მიერ დახაუში მოხდა საყოველთაო აჯანყებაც, რომელმაც ჩაშალა აქ დარჩენილი 560 პატიმრის სრული განადგურების გეგმა. ეს ტერიტორია 1966 წლამდე, ვიდრე აქ ამერიკული სამხედრო ნაწილები იმყოფებოდნენ, სრულიად გასაიდუმლოებული იყო და ამ პერიოდში, როგორც ამბობენ, აქ არსებული საშინელებების მრავალი ღირებული მასალა განადგურდა. ამერიკელებმა, გერმანიის მთავრობის მოთხოვნით, დატოვეს ბანაკი და გარდასულ დღეთა საშინელებების ამსახველ მუზეუმად გადააკეთეს. იმ წლიდან მოყოლებული, დახაუს დღემდე, ყოველდღიურად, ათასობით დამთვალიერებელი სტუმრობს. დამთვალიერებლებს გიდები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე უწევენ ექსკურსიამძღოლობას. თუ დამთვალიერებელთა ჯგუფში ვერ მოხვდი, ინდივიდუალურად, საინფორმაციო სამსახური გთავაზობთ ბანაკის გზამკვლევ სქემას, სადაც მისი ყველა პროცედურული ობიექტია დატანებული თავისი ნომრით. შენთვის სასურველ ენაზე ღებულობ საინფორმაციო ყურმილს. რომელ ობიექტსაც ათვალიერებ, მისი საშუალებით აკრეფ იმ ობიექტის ნომერს და აუდიო გიდი დაწვრილებით, დეტალურად მოგითხრობს გარდასულ დღეთა საშინელებებს. ისმენ ამ ყველაფერს და უნებლიედ „აღმოჩნდები“ იმ ჯოჯოხეთში, რომელიც, თითქოსდა, თავადაც გამოიარე. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომში, სადაც ჩართული იყო 62 ქვეყანა და მთლიანად მილიარდნახევარზე მეტი ადამიანი, 1945 წელს ფაშიზმის დამარცხებით დამთავრდა.



რას გადაურჩა გერმანელი ხალხი და ქვეყნიერება, ამას თავად გერმანელი ხალხი ნათლად აცნობიერებს და მის დასტურად დახაუს დღევანდელი სახით არსებობაც იკმარებს. ან, გნებავთ, თავად ბერლინში ტრესტონ პარკში ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოდ აღმართული მეომრის მუნუმენტი, რომლის არსებობასაც არავითარი საფრთხე არ ემუქრება. მას მარცხენა ხელში ბავშვი უკავია, მარჯვენა ხელში კი მახვილი, რომლის წვერი ორად გახლეჩილ ფაშისტურ სვასტიკაზეა მიბჯენილი. ჩვენი, ზოგიერთი ურა პატრიოტი კი, აქა-იქ შემორჩენილ, თითზე ჩამოსათვლელ, ამ გამარჯვებისთვის მებრძოლ, საბრძოლო მედლებით მკერდდამშვენებულ ჩვენს თანამემამულეებს, მკერდიდან ჯილდოებს გლეჯენ და ლაყე კვერცხებს ესვრიან, ჩვენდა საუბედუროდ კი, განმკითხავი არავინ ჰყავთ. მსგავსი დამოკიდებულება ხომ ფაშიზმის გამართლებაა. ეს არის ჩვენი ევროპული არჩევანი?!

გიორგი ბერიძე

# ამ გზის გაკეთება დიდი ხნის ოცნება იყო!

ხანშიშესული ადამიანების უმრავლესობას კარგად ახსოვს, რომ ჯერ კიდევ ძველი სისტემის დროს აქტიურად იყო საუბარი იმაზე, მოწესრიგებულიყო ასპინძა-ჭობარეთის საავტომობილო გზა, რომელსაც არამარტო დასახლებულ პუნქტებთან მოსახლეობის გადაადგილებას შეუწყობდა ხელს, არამედ მას უდიდესი სტრატეგიული დანიშნულებაც აქვს. ეს იდეა, სამწუხაროდ მიზეზთა და მიზეზთა გამო არ განხორციელებულა და აი უკანასკნელ წლებში ეს პრობლემაც გადაწყდა და ახლა ძალზე გაადვილებულია გადაადგილება. თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით და ძველ-ჭობარეთის მოსახლეობისათვის რეგიონის ცენტრთან შემოვლითი გზის ნაცვლად დაიწყო ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთიდან სოფელ მუსხამდე (ადმინისტრაციულ საზღვრამდე) მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ოთხ კილომეტრამდე სიგრძის ასფალტო-ბეტონის გზის დაგება, რომლის ღირებულება დაახლოებით 830 500 ლარია.





აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ გზის მშენებლობამ შესაძლოა უფრო მეტად დააინტერესოს თვით ასპინძის, ორგორა-საყუდაბლისა და სხვა დასახლებული პუნქტების სატრანსპორტო საშუალებების მქონე პირები და სარგებლობისათვის ეს გზაც გამოიყენონ, რადგან ამ სოფლების მიმდებარედ, ახალციხის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებთან დაკავშირების ერთადერთი უმოკლესი გზა იქნება და, ასევე, შესაძლოა, ინტერესის გამოც იქნას იგი გამოყენებული. საგზაო სამუშაოებს ასრულებს სამშენებლო კომპანია შპს „არალი“ (დირექტორი ოთარ თათეშვილი), რომლის მშენებლობა განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

# ოპერატიულად მოგვარდა პრობლემა

თითქოს უკვე შევეჩვიეთ ქვეყანაში მომხდარ სტიქიებს, ამ მხრივ არც ჩვენი რეგიონია დაზღვეული. ამ ცოტა ხნის წინ უხვი ნალექის მოსვლის შედეგად ახალციხე-ასპინძის დამაკავშირებელ სახელმწიფო გზაზე, სოფელ რუსთავთან, კერძოდ, ასპინძის ადმინისტრაციულ საზღვართან, ღვარცოფის შედეგად ჩამოტანილმა მასამ გზის ჩახერგვა გამოიწვია.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი მიქელაძე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე.



გზის გაწმენდით სამუ შაოებში ჩართული იყვნენ ასპინძის სახანძრო-სამაშველო სამსახური, რეგიონული სამაშველო სამსახურის სპეცტექნიკა, „ჯავახავტოგზის“ რამდენიმე ერთეული ტექნიკა, რომელიც ახორციელებს აღნიშნული გზების მოვლა-პატრონობას.

ოპერატიული ღონისძიებების გატარების შედეგად სახელმწიფო გზის ამ მონაკვეთზე მოძრაობა აღდგენილი იქნა, რითაც სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს პრობლემები არ შექმნიათ.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, ასპინძისა და მთლიანად რეგიონულ სამაშველო სამსახურს, „ჯავახავტოგზას“ აღნიშნული სამუშაოების ოპერატიულად შესრულებისათვის.

სპორტი

# ტოლოშელი ნორჩი სპორტსმენები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ!



უკანასკნელი წლებია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განსაკუთრებით გაიზარდა სპორტისადმი მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერესი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ადგილებზე ამ მიმართებით როგორც სკოლის დირექციები, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური დიდ ყურადღებას იჩენს და არც ხელშეწყობას აკლებს.

ამ ცოტა ხნის წინ ასპინძელთა კიდევ ერთი დიდი წარმატების მოწმენი გავხდით – ქ. თბილისში ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადა 2018-ის ფინალური შეჯიბრი, დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს გამარჯვებულ გუნდებს შორის. ასპინძის მუნიციპალიტეტიდან აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონის ტიტულით, გეზრბენში, სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: **მარი ნადირაძე, ქეთი გვარამაძე, ნაირა გვარამაძე, ნინო ქუქჩიშვილი** (მასწავლებელი **მამუკა ნადირაძე**). გოგონებმა ფინალურ შეხვედრაზე წარმატებით იასპარეზეს, დაიკავეს პირველი ადგილი და ღირსეულად მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული. აღსანიშნავია მასწავლებლისა და მოსწავლეთა მიერ გაწეული დაუღალავი შრომა, რამაც შედეგად მათ ასეთი დიდი წარმატება და აღიარება მოუტანა.

ტოლოშელი ნორჩი სპორტსმენებისათვის საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება თითოეული ასპინძელის გამარჯვებაცაა და იმის მაუწყებელი, რომ წინ კიდევ ბევრი წარმატებები გველის.

აქვე შევნიშნავთ, რომ მათი გამარჯვება სხვებისთვის მაგალითი უნდა იყოს, რომ ანალოგიური წარმატებებით შესაძლოა ასპინძელები კიდევ უფრო დიდ მასშტაბებზე გავიდნენ.

***სოფიო მაისურაძე***

*P.S.* გაზეთ „ასპინძის სიახლენის" რედკოლეგია სულითა და გულით ულოცავს ტოლოშის საჯარო სკოლის გოგონათ გუნდს და მის მწვრთნელს **მამუკა ნადირაძეს** საქართველოს ჩემპიონობას გეზრბენში. ეს გამარჯვება არა მარტო თქვენ გახარებთ, არამედ თქვენი წარმატება ერთიანად მთელ მუნიციპალიტეტსაც ეკუთვნის და გვჯერა, მომავალშიც არაერთხელ გაახარებთ ერთგულ გულშემატკივრებს.

# გამარჯვებულები დააჯილდოეს

ამა წლის 13 ივლისს, მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრი, სოფელ ტოლოშის მკვიდრი გიორგი მელიქიძე, ამავე სოფლის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდს ასპინძის სარაგბო ბაზაზე შეხვდნენ. ტოლოშის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს „საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა – 2018-ის" გეზრბენში და მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამარჯვებულებს და მათ მწვრთნელს კიდევ ერთხელ მიულოცეს მიღწეული წარმატება და თითოეულს სპორტული ფორმების კომპლექტი და სპორტული ფეხსაცმლები გადასცეს საჩუქრად.

დაჯილდოვებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირები.



# მოსახლეობის საყურადღებოდ!

ევროსტანდარტების შესაბამისი ნაგვის ახალი ურნები განთავსდა დაბის მთელ ტერიტორიაზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია მოუწოდებს მოქალაქეებს:

ურნები განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენისთვის, შესაბამისად, მათში საშენი მასალებისა და აალებული ნივთების ნარჩენების განთავსება სასტიკად აკრძალულია. აღნიშნული ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ნებისმიერ მოქალაქეს დაეკისრება ადმინისტრაციული ჯარიმა.




ფოლკლორი

***

– ქალო, ერთხელ გამახარე,
თან გიყიდი რაღაცებსა;
– წადი, შენ შვილებს უყიდე
დაათრევენ ცალ-ცალებსა.

***

მე მეგონა გული მქონდა უბერებელი.
მთელი ცხოვრება გინახე ხელუხლებელი.

***

არ მიყვარს ავი ძაღლი აშვებული,
ლამაზი ქალი – თავის ნებაზე მიშვებული.

***

ეგ ძაღლი რად დაგიბია,
ვიცი, არ იკბინება,
ჯობდა ეგ ქალი დაგება
ხედავ, სულ იღრინება,
ბოლო-ბოლო, მეც კაცი ვარ
მთლად ამევსო მოთმინება.

***

ეს რამდენი წამალი გაქვს
მარგებელი, ურგებელი;
გოგო, შენი ერთი კოცნა
ჩემთვის არის მარგებელი,
არ გეგონოს, გეხუმრები,
გულისთვია მარგებელი.

***

უკვე დიდი ხანია
რაც შენ ჩემს გულს მიები.
გულზე გადმომაყარე
სიყვარულის იები.
თუ სადმე დაგიჭირე
დაგიკოცნი დალალებს,
ერთხელ ხომ გავახარებ
განაწამებ ამ თვალებს.

***

გაზაფხული მოვიდა და
მოიმატა სურნელმა,
სიზმრად გნახე, შემიყვარე,
დავიჯერე სულელმა.

***

დაუთოვია კავკსიონი,
ისევ ადიდდა მტკვარი, რიონი,
ნეტავ ცხოვრება ქართველებისთვის
როდის გახდება ცოტა იოლი?

***

აღარ ვიცი, როგორა ვარ,
კარგად ვარ თუ ავადო,
შენმა გულმა საგულეზე
ბორკილები დამადო.
სულ მშიერი ვიყავი და
გადვიქეცი ჭამადო,
ქალო, შენი სიყვარული
გულზე მადევს წამლადო.
არც ცოლი მყავს და არც შვილი,
თავს ვერა ვგრძნობ ლაღადო,
მოდი შენი ობლებისთვის
გაგიხდები მამადო.
იქნებ ჩემთან დამშვიდდე და
თავი მხარზე დამადო,
ეს გულები ერთმანეთსა
გაუგებენ თავადო.

***

აღარ ვიცი, რა დავწერო,
ლექსს რა მივცე სათაური,
ზოგის მუზა მერი არის,
ჩემთვის – მზია ქისტაური.

***

შენმა გულმა გაანათა,
ჩემი გულის არე,
მარტო ტკბილი მომაწოდა,
გადამალა მწარე.
ჩემი გულის მზე შენა ხარ,
ჩემი სულის მთვარე,
ჩემი გული შენ გაჩუქე,
შენი შევიყვარე.
შენი სიყვარილით მიყვარს
ცა, მიწა და მთვარე,
შენ რომ ვერსად დაგინახავ
იმ დღეს ვერ ვიხარებ.

***

ეს საათი არ ჩერდება,
რა ჩქარ-ჩქარა ტრიალებსო,
მგონი პირში გვეუბნება,
რომ დრო გაგვატიალებსო.
გოგოვ-გოგოვ ცანცალაო,
ნუ დადიხარ ცალ-ცალაო,
შენი შეყვარებულიო
მგონი დარჩა სხვასთანაო.

***

მე შენი კოცნა არ მიფიქრია,
მარტო შევლება მსურდა თვალისა,
დღეს ვერ გითხარი, როგორ მიყვარხარ,
მაინც იმედი დამრჩა ხვალისა.

***

ჩვენს ქუჩაზეც ჩაიქროლა ცელქმა სიომ,
შენნაირად, საყვარელმა ნაზმა სიომ,
დაუბეროს საყვარელო, შენმა სიომ,
თუნდაც მომკლას, ჭია-ღუა დამასიოს.

*მთქმელი* ***ზეზვა ბიბილაშვილი,***
***59 წლის, სოფელი იდუმალა***

# წარსულის გახსენება

ეს ქვეყანა რო დაწყნარდა, აშულ ნიკო იყოო. მღეროდაო. ბეგები იყვნენო, ამღერენდნენო. ერთ ბეგმაო, თქვაო, – ელე ერქვა ამ ქალსაო, ელე-ხანუმს ეძახდნენ, ლამაზი ქალი იყოო, თქვაო, – აი აშიღ ნიკო, ეს ქალი შენთან როგორ უნდა იყოსო. გაიგონა ქალმა და უთხრა ქმარს ელე-ხანუმმა: – ნიკოო, გეუბნები, ააკვეთინე ამ ბეგებ ფეხი აქედანო.

– რათაო, მაფასებენ, ფულს მაძლევენ, მამღერებენო, – უთხრა ნიკომ.

– ერთი ბეგის ქცევა არ მომწონსო, – ისევ უთხრა ქალმა. რო გამოივლისო, მაშინ ოდები იყო, რო გამოივლისო, აი ასე გამცხემს ხელსაო. რა უფლება აქვს, ხელს რო გამცხემსო. ერთ დღესაც ამ საცოდავის ეს ქალი წაიყვანეს, მოსტაცეს ამ საწყალ აშიღ ნიკოს. წაიყვანეს, აღარ ჰყანდა, ჰო და, ამ იმაშიო, შემოვიდა რამდენიმე თათარიო და თქვესო, რო ამაღამაო, იმასაც ეყოლა ბიჭი – თათრისგან უფრო იყო ვიდრე შავ ნიკოსგანაო და „შავყიბეგი" დაარქვეს იმ ბიჭსაო.

თათარი შემოვიდა, როკეთინა ასწიოს და შეუთვალესო, რო თუ დედაშენის რძე გიწოვიაო, მოგვეხმარონაო. ჩამოვიდა და შეგვინახა მთელი სოფელიო. ბავშვებიო, ცხვარში შეგვრეკაო, რო თათარი მოდისო, თითონ ბიჭები წაასხაო, თითონ შემოსულ ყაჩაღებს, თათრებს, ცხვარი დაუკლაო და აქეიფაო. ერთი ძაღლი კაცი იყოო, გამოვიდა და, ქალები იყვნენო, გამოვიდა და მოაგნო ქალებსაო. შევიდა და ერთი ქალი იყოო, დაიღრიალა ისეო, რო წივილი დეე, იმ მთაზეც გაიგონესო. იმ სახლში, კაცები რო ქეიფობდნენ, გამოვიდა შავყებბეგი, ამდენ პატივს გცემთო და ერთი პატარა ხათრიც არ გაქვსო. ერთი გაქცევა იმ შავყიბეგმა შეგვინახაო, დედა იტყოდა, მერე წავიდნენო, ეს მერე, ჩვენც წავედით, ზათი, იქაო და მერე შეიცვალა ქვეყანაო, მერე დაიწყო ეს უბედური მეორე მსოფლიო ომიცო.

მთქმელი ***მართა მაისურაძე***, 86 წლის,
სოფელი ნაქალაქევი.
ჩაიწერა ***ავთანდილ ბერიძემ*** 2016 წელს

რეპლიკა

# გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს!

პატივცემულო რედაქციავ,

თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვარ, რომელიც საშუალებას მაძლევს სისტემატურად გავეცნო მუნიციპალიტეტის ცხოვრებას და მიხარია, რომ ბევრი რამ კეთდება და, ალბათ, მომავალშიც უფრო მეტი გაკეთდება იმისათვის, რომ ჩვენი დაბა-სოფლები უფრო გალამაზდნენ და მოსახლეობას მიეცეს საშუალება უკეთესად იცხოვროს.

მაგრამ ერთიცაა, – თუ ჩვენ მართლა გული შეგვტკივა ჩვენი ქვეყნისათვის და გვინდა, რომ საერთო საქმე გაკეთდეს, ყველას მოვალეობაა, აქტიურად ჩავებათ საერთო საქმეში და ხელი შევუწყოთ ჩვენ მიერ არჩეულ ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას ნაკლოვანებათა დაძლევაში და მარტო გარედან მაყურებლის პოზიცია



არ უნდა დავიკავოთ. ამით საერთო საქმეც მოიგებს და ჩვენი მოქალაქეებისაც.

დემოკრატია ხომ სახელმწიფო მართვის ფორმაა, როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს, ან მათ წარმოადგენლებს ეკუთვნით, და თუ მართლა გვსურს დემოკრატიული ქვეყნის აშენება, თითოეულმა ჩვენგანმა თავისი მიუკერძოებელი სიტყვა უნდა თქვას.

თქვენს გაზეთში რამდენჯერმე გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი იმის თაობაზე რომ დაბის ცენტრში მოსაწესრიგებელია საგზაო უსაფრთხოება, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი საშიშროება. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებითაც ხომ ხშირად გვესმის, რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ჩვენმა დაუდევრობამ და უპასუხისმგებლობამ.

ფოტოს, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ასპინძის ცენტრში, ე.წ. ბაზრის გვერდითაა გადაღებული. აქ არავინ უშლის მოვაჭრეებს ვაჭრობას, პირიქით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მშვენიერი ფარდულიც მოაწყო, რომ მოსახლეობას მომსახურება გაუწიონ, თუმცა მის გვერდით ტროტუარის გადაკეტვის უფლება არავის მიუცია, მაშინ, როდესაც იგი მოედნიდან გამავალი ტრანსპორტის მძღოლს ხილვადობაში უშლის ხელს და შესაძლოა ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ მიზეზადაც იქცეს.

იმედია ამას მოვაჭრეები გაითვალისწინებენ და კანონის ფარგლებში მოიქცევიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვისაც ეს ხელეწიფება, გამოიყენებს მასზე მინიჭებულ უფლებას ამ საკითხის მოგვარებაში. ანალოგიური მდგომარეობაა სუპერმარკეტ „ძველის" მოპირდაპირე მხარეს, სადაც ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრეების მიერ ისეა ტრანსპორტი ჩაყენებული, რომ ქუჩაზე შემსვლელ სატრანსპორტო საშუალების მფლობელებს აქაც უძნელდებათ ხილვადობა, რასაც, ასევე, შესაძლოა, სატრანსპორტო შემთხვევები მოჰყვეს.

გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს და დავიცვათ მოქალაქეთა უსაფრთხოება!

***დიმიტრი მაღრაძე,***
***დაბა ასპინძის მცხოვრები, პენსიონერი***

**ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა**

**რედკოლეგია**